

№2 შემაჯამებელი დავალების ანალიზი

კლასი: VIIდ

საგანი: მუსიკა

პედაგოგი: მზია ბირთველიშვილი

შემაჯამებელი დავალების ჩატარების თარიღი: 6/12/2019

შემაჯამებელისამუშაოს შესრულებისფორმა: პრეზენტაცია

შემაჯამებელი დავალების პირობა და ესგ-სშედეგები

N	შემაჯამებელი დავალების საკითხი	შემაჯამებელი დავალების პირობა	საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება
1	საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის მუსიკალური კულტურა	წარმოადგინოს საქართველოს აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურა, გაერცელებული ინსტრუმენტები გააცნონ თანაკლასელებს კონკრეტული კუთხის შემოქმედება (სიმღერა, ცეკვა ან პოემიის ნიმუში)	მუს.საბ.1. სხვადასხვა რიტმული, ინტონაციური ფორმულებისა და სხვა მუსიკალური ელემენტების გამოყენება იმპროვიზაციის დროს; მუს.საბ.4. ნაწარმოების მოსმენისას მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მხატვრული სახის შექმნაში მათი როლის განსაზღვრა; მუს.საბ.5. აკადემიური და ხალხური მუსიკის ნიმუშებში მხატვრული კონცეფციის განსაზღვრა.


ესსეს შეფასების რუბრიკა

ქულები	კრიტერიუმები
0-2 ქულა	კომუნიკაცია მასალის აუდიტორიისთვის მისაწვდომი სახით წარდგენა და დაინტერესება ინფორმაციის ნათლად და გასაგებად გადმოცემა კითხვებზე პასუხის გაცემა და დაზუსტება
0-3 ქულა	მასალის ფლობა მოთხოვნის ადაკევატური თემის წარდგენა, ძირითადი თემატური მასალის (მთავარი,დამხმარე) ამსახველი ფოტო და ვიდეო ილუსტრაციები. თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის წარმოდგენა.
0-3 ქულა	შემოქმედებითობა გამოსვლისას მონაცვლეობის დაგეგმვა

	მუსიკალურ-მხატვრული ნიმუშის წარდგენა.
0-2 ქელა	საორგანიზაციო საკითხები გეგმიური საკითხების მოგვარება

რესურსები:

ფორმაგის ქალაქი; აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, პროექტორი.



გაკვეთილის მსვლელობა:

გაგაცნობ შეფასების კრიტერიუმებს (5წთ)

პრეზენტაციას წარმოადგენს 6 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლებსაც წარმოდგენისთვის განსაზღვრული აქვთ დრო, პრეზენტაციის წარმოდგენა, კითხვებზე პასუხის გაცემა (7-8წთ)

შეფასება:

ჯგუფის ყველა წევრი შეფასდება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზი

მიღებული შედეგების ანალიზი

საკითხი შედგენილია პროგრამის მიხედვით და გათვლილია ე.ს.გ -ს მიზნებსა და შედეგებზე. დავალება მოიცავდა როგორც ფაქტობრივი მასალის ცოდნას, ასევე კონკრეტული ხელოვნების ნიმუშის დაკავშირებას ისტორიულ კონტექსტთან. პრეზენტაცია ჩატარდა თემაზე “საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ფოლკლორი” ჯგუფები შედგებოდა 6-7 მოსწავლისაგან, რომლებმაც წარმოადგინეს კონკრეტული კუთხის მუსიკალური კულტურა, გაგვაცნეს ამ კუთხეში გავრცელებული საკრავები, წარმოადგინეს: ცეკვა, სიმღერა პოეზიის ნიმუშები. მოსწავლეებმა კარგად წარმოაჩინეს პრეზენტაცია და შეფასდნენ შეფასების რუბრიკის მიხედვით. კლასმა კარგად გაართვა თავი მიცემულ დავალებას, სუსტი მოსწრების მოსწავლეებიც ხალისით და აქტიურად იყვნენ ჩართული პრეზენტაციის წარდგენაში. ეს მრავალმხრივი აქტივობა ეხმარება ბავშვებს განუვითაროს სხვადასხვა უნარები: იმპროვიზაციულობა, არგისტიკაში, შემოქმედებითი ნიჭი, მეგყველება, მეხსიერება, მუსიკალობა და მშვენიერების აღქმის უნარი. სტანდარტის შესაბამისად, მოსწავლეებმა თვითონ აარჩიეს ლექსიც და მუსიკაც.

დასკვნა

მოსწავლეების მიერ ჯგუფურად წარმოდგენილი პრეზენტაცია შეფასდა დადებითად, მნიშვნელოვანი პრობლემა არ გამოიკვეთა.

რეკომენდაცია

- რა არის გასაუმჯობესებელი?
- გაუმჯობესების გზები.

შემდგომში უფრო მეტ დავალებას მივცემ ამ მიმართულებით, გავაკეთებთ პროექტებს და პრეზენტაციებს.

პედაგოგის ხელმოწერა:

მზია ბირთველიშვილი